შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ტესტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

პრაქტიკული დავალება პრაქტიკული დავალებისათვის განკუთვნილ ფურცელზე შეასრულეთ. პრაქტიკული დავალების (დავალება 26) შესასრულებლად თქვენ დაგირიდგათ ფანქარი, საშლელი და სათლელი.

პრაქტიკული დავალებისათვის განკუთვნილ ფურცელზე იმუშავეთ ფანქრით! ფანქრის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ ამ დავალების შესასრულებლად.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 60.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ - 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

1-15დავალების ინსტრუქცია-სწორი პასუხის შესაბამისი უჯრა პასუხების ფურცელზე მონიშნეთ X ნიშნით.

1. რომელიკულტურისნიმუშიაწარმოდგენილისურათზე?



ა. ეგვიპტური;
ბ. ეტრუსკული;
გ. შუამდინარული;
დ. ეგეოსური.

2. რა ეწოდება წარმოდგენილ ხელოვნების ნიმუშს?

ა. დიპტიხი;
ბ. პოლიპტიხი;
გ. ტრიპტიხი;
დ. პრედელა.

3. რომელი აღწერილობა შეესაბამება სურათზე მოცემული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის დეკორატიულ გაფორმებას?

ა. სიმეტრიულად აგებული ფიგურული კომპოზიცია ოსტატურად ერწყმის ლარნაკის ფორმას და კომპოზიციური წყობის ჰარმონიული ხასიათით გამოირჩევა;

ბ. ფიგურათა რელიეფური გამოსახულებები ლარნაკის ზედაპირზე, რომელიც წითელი საღებავითაა დაფარულიძველი ბერძნული წითელფიგურიანი კერამიკისნიმუშსქმნის;

გ. ფიგურული და გეომეტრიული გამოსახულებების ფრიზისებური წყობა ლარნაკის მორთულობას აღმოსავლურ ხასიათს სძენს;

დ. შუქისა და ჩრდილის მკვეთრი მონაცვლეობით ლარნაკის ზედაპირზე ფიგურები მოცულობით ფორმას იძენენ.

4. რომელი ტერმინით განისაზღვრება ქვის ზედაპირიდან მიღებული სურათის ანაბეჭდი?

ა. ლითოგრაფია;
ბ. ფრესკა;
გ. ოფორტი;
დ. ლინოგრავიურა.

5. რომელი ქართული ადრე შუა საუკუნეების ტაძრის ინტერიერია შემკული ფიგურული რელიეფებით?

ა. მცხეთის ჯვარი;

ბ. ბოლნისის სიონი;

გ. ატენის სიონი;

დ. ნეკრესი.

6.რომელი საუფლო დღესასწაულია გამოსახული გელათის სახარების მინიატურაზე?

ა. ფერისცვალება;

ბ. შობა;

გ. ხარება;

დ. მირქმა.

7. დააკვირდით მთავარანგელოზი გაბრიელის გამოსახულებას „ხარების“ კომპოზიციიდან, რომელიც ატენის სიონის მოხატულობის დეტალია. რა მხატვრული თავისებურებები ახასიათებს ქართული ფრესკული მხატვრობის წარმოდგენილ ნიმუშს?

ა. ფიგურის კუთხოვანი, არაპლასტიკური მოძრაობა;

ბ. უტრირებული ფორმები, მკვეთრი ხაზოვანი რიტმი და დეკორატიულობა;

გ. ანატომიის ცოდნის საფუძველზე შექმნილი ფიგურის პლასტიკური ფორმები, ენერგიული, მოქნილი ნახატი, სახის რეალისტური, მეტყველი გამოსახულება;

დ. მკვეთრად უტრირებული და მანერული, ასევე სტილიზებული გამოსახულება;

8. რომელი მხატვრული მიმდინარეობის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?



ა. სიმბოლიზმი;

ბ. სიურეალიზმი;

გ. იმპრესიონიზმი;

დ. ფოვიზმი.

9. რომელი მხატვრულ-სტილური თავისებურებებით ხასიათდება სურათზე მოცემული ქართული შუასაუკუნეების ოქრომქანდაკებლობის ნიმუში?

ა. მაღალი რელიეფით შესრულებულ სტატიკურ ფიგურებს ოსტატი დეკორატიული თაღედის გამოსახულებით შემოსაზღვრავს და მხატვრულ-დეკორატიულ სისტემას ახლებურად გაიაზრებს;

ბ. მაღალი რელიეფით შესრულებული ფიგურებისა და დახვეწილი ორნამენტული მოტივების სინთეზით ოსტატი ქართული ოქრო-მქანდაკებლობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს ქმნის;

გ. ხაზობრივი, დეკორატიული ხასიათის დაბალი რელიეფით შესრულებულ გამოსახულებებს ოსტატი ფორმათა უტრირების საშუალებით ექსპრესიას სძენს;

დ. მაღალი რელიეფით შესრულებულ წელსზევით დაგრძელებულ ფიგურებს ფორმათა უტრირება უფრო მანერულობას სძენს, ვიდრე ექსპრესიას.

10. საზოგადოების პროტესტის მიუხედავად, რომელმა მხატვრულმა მიმდინარეობამ დაამკვიდრა ხელოვნებაში მკვეთრი ცვლილებები?

ა. იმპრესიონიზმი;

ბ. კლასიციზმი;

გ. რეალიზმი;

დ.აბსტრაქციონიზმი

11. ფერების რომელი წყვილია კონტრასტული?

ა. წითელი - ნარინჯისფერი;

ბ. ლურჯი - მწვანე;

გ. ყვითელი-იასამნისფერი;

დ. მწვანე - ყვითელი.

12. როგორ ფიქრობთ, რა ტექნიკაშია შესრულებული ალბრეხტ დიურერის წარმოდგენილი სურათი?

ა. ფერწერა;

ბ. გრავიურა;

გ. გობელენი;

დ. მონოტიპია.

13. რა მასალა იყო გამოყენებული წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად?

ა. აკვარელი;

ბ. ტემპერა;

გ.ცვილი;

დ.ზეთი.

14. ექსპრესიონისტი მხატვრები ცდილობდნენ გამოესახათ:

ა. სინათლისა და ფერის ურთიერთმიმართება;
ბ. რეალისტური გამოსახულებები, შექმნილი ზედმიწევნით
   დამუშავებული დეტალების საშუალებით;
გ.გამოსახულებათა დახვეწილი, კლასიკური ფორმები;
დ. გამოსახვის ობიექტის მიმართ უშუალო ემოციური დამოკიდებულება.

15. ზღვის რომელიმოლუსკისგან მზადდებოდა ყავისფერი საღებავი, რომელსაც კალმითა და ფუნჯით ხატვისას იყენებდნენ?

ა. ვოლუტა;
ბ. სეპია;
გ. პტერია;
დ. მიდია.

16. დაასახელეთ, ყველაზე მეტად რომელი კონკრეტული საკითხის განხილვისას გამოიყენებდით ნიდერლანდელი მხატვარის მორის ეშერის ქვემოთ წარმოდგენილილუსტრაციას?

ა.ვიმსჯელოთ გრაფიკის, როგორც სახვითი ხელოვნების დარგის თავისაბურებებზე;

ბ. ამოვიცნოთ და ვიმსჯელოთ ისტორიულ მოვლენაზე, რომელიც შემოქმედის შთაგონების წყაროდ იქცა;

გ. სტილური მახასიათებლების საფუძველზე მივაკუთვნოთ ხელოვნების ნიმუში კონკრეტულ ეპოქასა თუ მხატვრულ მიმდინარეობას;

დ. განვიხილოთ ოპტიკური ილუზია და მისი შესაძლებლობები, როგორც ერთ-ერთი მხატვრული ხერხი სახვით ხელოვნებაში;

საგამოცდო ტესტში 19 არჩევითბოლოიანი დავალებაა გათვალისწინებული, მეთოდური დავალებების სანაცვლოდ.

20-25 დავალება. ***„ჭეშმარიტია-მცდარია“***

დავალების ინსტრუქცია– ყურადღებით გაეცანითმოცემულ დებულებებს - თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ. თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი ფორმულირება.

შენიშვნა: თუ ფიქრობთ, რომ ფორმულირება მცდარია და თვლით, რომ მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი დატოვეთ და იმავე განმარტებისთვის მოძებნეთ და მიუსადაგეთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა.



20. მონოქრომული ფერებით შექმნილ გამოსახულებას კონტრასტული ეწოდება.

21. საიუველირო ნაკეთობის ზედაპირზე ოქროს უმცირესი ბურთულების ფაქიზ მირჩილვას ცვარას ტექნიკა ეწოდება.

22. პორტალი კარის თავზე მდებარე ნახევარწრიულიარეა.

23. ვოლუტებიანი კაპიტელი დორიული სვეტის დამახასიათებელი ელემენტია.

24. შავი ნიშნავს *<u>ფერის არარსებობას</u>*.

საგამოცდო ტესტში ამ ტიპის 6 დავალება იქნება წარმოდგენილი, აქედან 3 ჭეშმარიტი და 3 მცდარი.

დავალება 26. ***პრაქტიკულისამუშაო***

ინსტრუქცია - პრაქტიკული დავალებისათვის განკუთვნილ ფურცელზეგამოსახეთ ურბანული პეიზაჟი ხაზოვანი პერსპექტივის კანონების გათვალისწინებით. კომპოზიციისათვის წინასწარ შეარჩიათ ფორმატი. ტესტის ბუკლეტი შეგიაძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსთვის.

27-31 ქრონოლოგიის განსაზღვრა.

დავალების ინსტრუქცია – დაალაგეთ (უძველესიდან უახლესისკენ) მხატვრული მიმდინარეობები, მხატვრები, არქიტექტურული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, რომ ცხრილში იწერება მხოლოდ შერჩეული ერთეულის შესაბამისი ციფრი.

27. დაალაგეთანრი მატისისნამუშევრებიმათიშექმნისდროისმიხედვით

1.

2.



3.

4.

28. ქრონოლოგიურად დაალაგეთ მხატვრული სტილები:

1. ბაროკო
2. მანიერიზმი
3. დადაიზმი
4. სიმბოლიზმი

29.დაალაგეთ ქართული შუა საუკუნეების ქრისტიანული ტაძრები მათი შექმნის დროის მიხედვით.

1.

2.

3.

4.

30.დაალაგეთ შუასაუკუნეების ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ტაძრები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით

1. გრემი;
2. სამთავისი;
3. ბარაკონი;
4. ბეთანია.

31. ქრონოლოგიურად დაალაგეთ სხვადასხვა დროს შექმნილი ცხენოსანი ფიგურების ქანდაკებები

1.



2.

3.



4.

დავალება 32. ***შესაბამისობის დადგენა***

დავალების ინსტრუქცია - შეუსაბამეთ AAსვეტში მოცემული მხატვრული ტექნიკების მახასიათებლები B სვეტში მოცემულ მხატვრულ ტექნიკებს. გაითვალისწინეთ, ერთ მახასიათებელს მხოლოდ ერთი ტექნიკა შეესაბამება.

მხატვრული ტექნიკის მახასიათებლები	მხატვრული ტექნიკა
1. სველ ბათქაშზე წყალში გახსნილი საღებავებით შესრულებული მოხატულობა; 2. ტილოზე, მუყაოზე, ხეზე და სხვა მასალაზე ზეთის საღებავებით შექმნილი კომპოზიცია; 3. ქაღალდზე, მუყაოზე, ქსოვილზე ფანქრით, ნახშირით, პასტელით, ტუშით, სანგინით, აკვარელის და გუაშის საღებავებით შექმნილი გამოსახულება.	ა. ფერწერა; ბ. გრაფიკა; გ. ფრესკა; დ. სეკო; გ. გრავიურა.

საგამოცდო ტესტში ამ ტიპის 2 დავალება იქნება წარმოდგენილი, სადაც მხატვრულ-სტილურ მახასიათებლებს მოცემულ მიმდინარეობას/ეპოქას შეუსაბამებთ.

დავალება 34. ხელოვნების ზოგიერთი ნიმუში ჩაფიქრებულია, როგორც კულტურის ისტორიის, ისტორიული ფაქტის ინტერპრეტაცია. მოცემული

ჩამონათვალიდან შეარჩიეთ ხელოვნების ერთი ნიმუში და დააკავშირეთ ის კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასთან. გააანალიზეთ ნაწარმოები და დაადგინეთ:

ა. სახვითი და კონტექსტუალური თავისებურებები, რაც ავლენს ამ ნაწარმოების მიმართებას თქვენ მიერ დასახელებულ მოვლენასთან;

ბ. რომელი მხატვრული ხერხების საშუალებით გამოხატავს ავტორი ნაწარმოების იდეას?

დავალება 35. ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზი

გაიაზრეთ, გაანალიზეთდაშეაფასეთ ქვემოთ მოცემული ხელოვნების ნიმუში

შეასრულეთ დავალება მითითებების მიხედვით:

Rembrandt van Rijn: The Company of Frans Banning Cocq and Willem van Ruytenburch (the Night Watch), 1642

38.1 აღწერეთ და დაახასიათეთ კომპოზიცია: რა თემაზეა შექმნილი მოცემული კომპოზიცია; მასალისა და ტექნიკის საფუძველზე ამოიცანით სახვითი ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი;

38.2 გააანალიზეთ და მოკლედ ჩამოაყალიბეთ რა სახვით საშუალებებსა და ხერხებს იყენებს ავტორი მხატვრული სახის ხასიათის შესაქმნელად სურათზე;

38.3 მხატვრულ-სტილური მახასიათებლების საფუძველზე განსაზღვრეთ ნამუშევრის შექმნის დრო, დაადგინეთ, რომელი ქვეყნის ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი, დაასახელეთ ავტორი;

38.4 შეაფასეთ ნამუშევარი – გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება, იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება;
38.5 იმსჯელეთ გავლენებზე, განიხილეთ ნაწარმოები ისტორიულ-კულტურულ და ა.შ. კონტექსტში.